

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---სექტემბერი 2020 წელი

ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ჯუმბერ ბეთაშვილის I გასასვლელისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული თამუნა დოლიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ჩუღურეთის რაიონში, ჯუმბერ ბეთაშვილის I გასასვლელს მიენიჭოს 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული თამუნა დოლიძის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---სექტემბერი 2020 წელი

**ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, თამუნა დოლიძის ქუჩისთვის რეხის
სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ჩუღურეთის რაიონში, თამუნა დოლიძის ქუჩას მიენიჭოს რეხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის #155 განკარგულება „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, რეხის I ქუჩის მონაკვეთისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული თამუნა დოლიძის სახელის მინიჭების შესახებ“ .
3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



ქ. თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის
თავმჯდომარეს, ქალბატონ თინათინ ნიბლოშვილს

განცხადება

ქუჩის სახელის გადარქმევასთან დაკავშირებით

მოგმართავთ ჩუღურეთის რაიონის *ჯუმბერ ბეთაშვილის პირველი*
გასასვლელის მაცხოვრებლები

გთხოვთ გადაარქვათ ჩვენს ქუჩას სახელი და ახალი სახელით დაიტანოთ ის *გიიგლე-ის* რუკაზე.

მართალია ქუჩის არსებული სახელწოდების საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, უბრალოდ მიგვაჩნია, რომ ჩვენს ქუჩას უნდა ჰქონდეს მისი მონათესავე ქუჩისგან (ჯუმბერ ბეთაშვილის ქუჩა) განსხვავებული სახელწოდება, მით უმეტეს, რომ ჩვენი ქუჩის სახელწოდების დანამატი „გასასვლელი“ არა თუ ფაქტობრივ მდგომარეობას არ ასახავს, ვინაიდან ეს ქუჩა პირდაპირ შემოდის ხუდადოვის ქუჩიდან (ცენტრალური ქუჩა) და მაშასადამე ორმხრივი ქუჩაა, არამედ ართულებს მის მიგნებადობას და იწვევს დაბნეულობას მაგ. როდესაც გვიხდება სასწრაფოს, ტაქსის გამოძახება, ან სხვა მომსახურების მიღება, ან სადმე ოფიციალურად გვიწევს სახელის მითითება, ყველას ძალიან უჭირს ამ ქუჩის მიგნება, ისე რომ იძულებულები ხდებიან ხოლმე ჯერ შემოვიდნენ ჯუმბერ ბეთაშვილის ქუჩაზე და მერე ეძებონ მისი პირველი გასასვლელი, რომელიც გადის პირდაპირ ხუდადოვის ქუჩაზე, მაშინ როდესაც პირდაპირ ხუდადოვის ქუჩიდანაა შესაძლებელი გაცილებით უფრო მარტივად ამ ქუჩის მოგნება.

კიდევ ერთხელ გვსურს ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ რეალურად ეს ქუჩა არ უნდა მოიაზრებოდეს, როგორც გასასვლელი, ვინაიდან ის არც ჩიხია და არც მხოლოდ გასასვლელი, არამედ ჩვეულებრივი ორმხრივი ქუჩაა, რის გამოც გთხოვთ განსაკუთრებით გაითვალისწინოთ ეს გარემოება.

ქუჩის ახალ სახელწოდებად გვსურს შემოგთავაზოთ ატმების ქუჩა, რამეთუ ჩვენს ნაკვეთებში ჯერაც შემორჩენილია ძველი ატმის ხეები და გარდა ამისა, თუ ამ ტერიტორიის პირველად დანიშნულებასაც გავითვალისწინებთ (ხეხილსანერგე მეურნეობა), მიგვაჩნია, რომ ეს სახელწოდება თემატურად ერთობ გამართლებული შეიძლება იყოს.

ქ. თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის
თავმჯდომარეს, ქალბატონ თინათინ ნიბლოშვილს

განცხადება

ქუჩის სახელის გადარქმევასთან დაკავშირებით

განცხადების შემომტანი: ბეთაშვილის პირველი გასასვლელის N: 25
მცხოვრები ნათია გობეჯიშვილი (01020006376) ნ. გობეჯიშვილი

ხელს აწერენ ამავე ქუჩის მცხოვრებლები:

თეონა მჭედიაშვილი	01020027135
ვასილ ბიწიაძე	01020047513
ნადეჟა დილაშვილი	01020046498
სვანტო ქაჩია	01020040097
მგობა მგობაშვილი	01020046898
ლიანა ლევანოშვილი	01020011681
მარია ვახუშტი	01020020250
ნათია მგობაშვილი	01020042897
ნათია მგობაშვილი	01020020250
ნათია მგობაშვილი	01020027643
ნათია გობეჯიშვილი	01020006376
ნ. მგობაშვილი	01020046328